პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 179 (9340)
16 სექტემბერი, სამშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეხუთე პარტია

ამჯერად მეტოქეებმა ახალინდური დაცვა გაითამაშეს. მსოფლიო ჩემპიონმა სადებიუტო უპირატესობა ვერ მიიღო და დაახლოებით 28-ე სვლამდე პოზიცია სავსებით თანაბარი იყო, მაგრამ მაია ჩიბურდანიძეს უპირატესობა მაინც იგრძნობოდა — ელენა ახმილოვსკაია მძაფრ ცაიტნოტში ჩავარდა და სავარაუდო იყო, ეს გავლენას მოახდენდა პარტიის მსვლელობაზე. ასეც მოხდა, პრეტენდენტმა ჯერ მეფე დაძრა g უჯრიდან და ლაზიერის ფრთისკენ გაემართა, მერე ეტლებიც გაცვალა, რაც საბედისწერო შეცდომა გამოდგა. 37-ე სვლაზე, უკვე უიმედო მდგომარეობაში, პრეტენდენტმა საათი გააჩერა.

**ახალინდური დაცვა**
**ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაია**

1. d4 მf6 2. მf3 e6 3. g3 b6 4. კg2 კb7 5. 0—0 კe7 6. c4 0—0 7. მc3 მe4 8. კd2 f5 9. d5 კf6 10. ეc1 მa6 11. a3 მc5 12. b4 მ:c3 13. კ:c3 მe4 14. კ:f6 ლ:f6 15. ლd4 მg5 16. ლ:f6 მ:f3+ 17. კ:f3 ე:f6 18. ეfd1 e5 19. e4 fe 20. კ:e4 ეaf8 21. ეd2 d6 22. c5 g6 23. cb cb 24. ეdc2 ეe8 25. ეc7 ეf7 26. h4 მფf8 27. ე7c3 ეe8 e7 28. მფg2 ეf6 29. f3 მფe8 30. g4 მფd8 31. მფg3 ეff7 32. ე3c2 ეc7 33. ე:c7 ე:c7 34. ე:c7 მფ:c7 35. h5 gh 36. g5 მფd8 37. მფh4. შავები დანებდნენ.

ამრიგად, ხუთი პარტიის შემდეგ ორი ქულით წინ არის მაია ჩიბურდანიძე — 3,5:1,5. მომდევნო, მე-6 პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს.

**საერთაშორისო დიდოსტატის ევგენი ერმენკოვის კომენტარი იხ. მე-4 გვ.**

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

**„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები ავთანდილ ბურახაშვილი და ჯემალ კახრაძე მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებენ:**

# რვა რეკორდი

**მოსკოვი.** ოლიმპიური სპორტული კომპლექსის საცურაო აუზი. ეს-ესაა სპარტაკიადის შეჯიბრებათა უკანასკნელი გაცურვა — 4X100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტა დამთავრდა. საქართველოს ოთხეული (კოზლოვი, კოზნევი, ვდოვიჩენკო, მაკაროვი — ყველა ასკ) და ჩვენი დელეგაციის წარმომადგენლები აღფრთოვანებას ვერ მალავენ. გამარჯვებულები არ გამოხატავენ იმგვარ სიხარულს, როგორსაც ჩვენები, რომლებმაც VI ადგილი დაიკავეს.

მაინც რა უხარიათ საქართველოს მოცურავეებს და მათ გულშემატკივრებს? ის, რომ ჩვენ საუკეთესო შემთხვევაში VIII ადგილის დაკავებას ვვარაუდობდით, მართლაც, წინასწარ გაცურვაში ჩვენმა სპორტსმენებმა მერვე შედეგი (3.57,24) აჩვენეს და საქართველოს რეკორდი დაამყარეს, ფინალში კი უკეთესად იასპარეზეს (3.54,09) და კვლავ გააუმჯობესეს რეკორდი, თანაც, როგორც უკვე ვთქვით, VI ადგილი დაიკავეს, რასაც არც მწვრთნელები ელოდნენ, არც ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელები და არც თვით მოცურავეები.

დიახ, საქართველოს მოცურავეთა ნაკრების შედეგებით ყველა კმაყოფილი და გაოცებულია. დაგეგმილი 138 ქულისა და XII ადგილის ნაცვლად მათ 154 ქულა მოაგროვეს და საერთო XI ადგილზე გავიდნენ. მართალია, წინა სპარტაკიადაზე მიღწეულთან შედარებით ერთი საფეხურით უკან დაიხიეს, თანაც, თუ VIII სპარტაკიადაზე პირად პირველობებში მედლები მოიპოვეს, ახლა საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ, მაგრამ ვინც ჩვენი მოცურავეების ბოლო წლებში ჩამორჩენის ამბავი იცის, დაგვეთანხმება, რომ ასეთ ვითარებაში მათთვის XI ადგილი მართლაც მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

საინტერესოა, რომ ამ შეჯიბრებაზე სრული გუნდით ხულ რამდენიმე ნაკრები დაუშვეს, დანარჩენებს კი გუნდების წევრთა რაოდენობა მოცურავეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით დაუდგინეს. საქართველოს 20 სპორტსმენის გამოყვანის უფლება მისცეს, მაგრამ ჩვენმა გუნდმა, ეს ლიმიტი სრულად ვერ გამოიყენა — საასპარეზოდ 18 მოცურავე ჩამოვიდა, მათ შორის იყო მხოლოდ ერთი ქალი — ლიუდმილა რასშჩუპკინა („დინამო"), რომელმაც 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში თავისი საუკეთესო შედეგი 2.27,80 აჩვენა, XIII ადგილი დაიკავა და გუნდს 4 ქულა მოუტანა.

სხვათა შორის, ამ ოთხად-ოთხმა ქულამ ჩვენი ქალთა „გუნდი" XIV ადგილზე გაიყვანა. ვაჟებმა IX ადგილი დაიკავეს. ცხადია, საქართველოს ნაკრებში იმდენი მოცურავე ქალი რომ გვყოლოდა, რამდენიც ვაჟიც გვყავდა, მაშინ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები საერთო გუნდურ ჩათვლაში უკეთესად გამოვიდოდნენ.

იხ. მე-2 გვ.

## თბილისელი ჩოგბურთელების წარმატება

**ტაშკენტში** გაიმართა ჭაბუკთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრიზებზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა სპორტსმენები.

ერთეულთა თანრიგის ფინალურ შეხვედრაში უეგროოდელმა იოხებ კრაჩკომ ანგარიშით 3:6, 6:2, 6:2 დაამარცხა თბილისელი ვლადიმერ გაბრიჩიძე. წყვილთა თანრიგში გაბრიჩიძემ რევანში აიღო ამ დამარცხებისათვის — მან და დავით კაჭარავამ გადამწყვეტ შეხვედრაში სძლიეს კრაჩკოსა და დიმიტრი პოლიაკოვს — 6:4, 6:4.



# მაშ ასე, ვიწყებთ!

**ამბობენ,** ყველაზე ძნელი საქმის დაწყებააო, მაგრამ მერე ყველაზე ტკბილად მაინც ამ ძნელ პერიოდს იხსენებენ, იხსენებენ იმიტომ, რომ ყოველ ახალ წამოწყებას ისეთი სიხარული მოაქვს, სიახლის მოთავეებს შვილის ფეხის ადგმისა და დავაჟკაცების მომლოდინე მშობლებს რომ ამსგავსებს.

1986 წლის 14 სექტემბერი ალბათ ერთი ასეთი ტკბილად მოსაგონარი დღე იქნება ბეისბოლის ქართველ მოყვარულთათვის. იმ დღეს საქართველოს ალპურ კლუბში მათი პირველი შეკრება ჩატარდა. სიმართლე გითხრათ, ასეთ ხალხმრავალ და დაინტერესებულ აუდიტორიას არც ველოდით — კლუბში ერთი თავისუფალი სკამიც არ დარჩენილა და შეხვედრამაც კარგა დიდხანს გასტანა.

საქართველოს სპორტსახკომის სპორტულ თამაშობათა სამმართველოს უფროსი როლანდ ხომერიკი დარბაზში შეკრებილთ ესაუბრა ჩვენს ქვეყანაში ბეისბოლის დანერგვისა და განვითარების პერსპექტივებზე, იმაზე, თუ რა გეგმები აქვს ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის სპორტსახკომს. სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ნუგზარ ერაძემ სათანადო დახმარება აღუთქვა ბეისბოლის ენთუზიასტებს. „ბეისბოლის პირველმა მასწავლებელმა" — გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა გელა ჩიხრაძემ ახალგაზრდებს გააცნო ბეისბოლის ისტორია, თამაშის წესები და პირველ ვარჯიშზე მიიწვია ისინი.

ფოტორეპორტაჟს საქართველოს ბეისბოლისტთა პირველი ვარჯიშიდან ახლო მომავალში შემოგთავაზებთ.



**14 სექტემბერს იპოდრომზე ჩვეულებრივზე მეტი მაყურებელი მოვიდა. ხალხმრავლობის მიზეზი „თბილისის დიდი სტიპლ-ჩეისის" პრიზის გათამაშების მეორე ეტაპი იყო, სტარტზე გამოსულ მხედრებს 4800-მეტრიან ტრასაზე 15 წინაღობა უნდა დაეძლიათ, რაც ასპარეზობის ცხრა მონაწილიდან მხოლოდ ოთხმა შესძლო.**

**საერთოდ, სტიპლ-ჩეისში ყველაზე რთულ წინაღობად ე. წ. „დიდი ტაქსისი" ითვლება. თბილისის სტიპლ-ჩეისზე „ტაქსისი" რიგით მეხუთე წინაღობაა და პირველ ეტაპზე მხედართა უმრავლესობამ სწორედ აქ წაიფორხილა. ამჟამად კი ყველას გასაოცრად, ცხრიდან რვა მხედარმა წარმატებით დაძლია ეს რთული წინაღობა. თუმცა „ტაქსისმა" თავისი „მისია", ეტყობა, მაინც შეასრულა და ცხენ-მხედრებს იმდენი ყურადღება და რაც მთავარია ძალა წაართვა, რომ მათ უკვე სხვა, შედარებით იოლ წინაღობებზე მოეცარათ ხელი. რა თქმა უნდა, ამას ვერ ვიტყვით გამარჯვებულებზე — ზაზა გონჯილაშვილსა (ცხენი ხაპება) და ვიქტორ აივაზაშვილზე (განგა). თბილისელმა მხედრებმა რბოლის დასაწყისიდანვე ხელთ იგდეს ლიდერობა, ზუსტად განსაზღვრეს საკუთარი და თავიანთი ბედაურების შესაძლებლობები და შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. მესამე ადგილიც ქართველ მხედარს თ. ჯაფარიძეს (ზუგდიდი) ხვდა წილად. მეოთხე იყო სომხეთის წარმომადგენელი გ. აკოპიანი.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

## რვა რეკორდი

(დასასრული)

საინტერესოა, რომ წინა სპარტაკიადასთან შედარებით ახლა ორჯერ მეტმა მოცურავემ მიიღო ჩათვლა, მაგრამ მაშინ მთელს დატვირთვას საქართველოს ნაკრების ლიდერმა ირინა გერასიმოვამ გაუძლო. სამწუხაროდ, ახლანდელ ნაკრებში ასეთი მკვეთრად გამორჩეული ლიდერი არ გვყოლია.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ვაჟებმა ამ შეჯიბრებაზე რესპუბლიკის 8 რეკორდი გააუმჯობესეს, ისინი მეტწილად ჯერ წინასწარ გაცურვაში ამყარებდნენ რეკორდს და შემდეგ ფინალში აუმჯობესებდნენ შედეგს. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოცურავეები პირად პირველობაში V ადგილს ვერ გასცდნენ. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ისინი საკავშირო სტანდარტებს ჩამორჩებიან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა მოცურავეები თავის მხრივ მსოფლიოს უძლიერეს მოცურავეებს ვერ სჯობნიან...

ახლა იმათ შესახებ, ვინც საქართველოს ნაკრებს ჩასათვლელი ქულები მოუტანა. ჩვენი მკითხველი რამდენიმე მათგანს უკვე იცნობს, იციან ისიც, რომ საქართველოს ოთხეულმა 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საქართველოს რეკორდი დაამყარა — 7.43,70. დავსძენთ, რომ ამ გუნდის შემადგენლობაში იყვნენ თბილისელი არმიელები: კოზლოვი, გორბუნოვი, არტიომოვი, კოშკო, რომლებმაც საქართველოს რეკორდი (7.46,41) წინასწარ გაცურვაშიც დაამყარეს.

რესპუბლიკური მიღწევა გააუმჯობესა თბილისელმა არმიელმა სერგეი მაკაროვმა, რომელიც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში XI ადგილზე გავიდა (52,47), მანვე 50-მეტრიან დისტანციაზე ფინალში 24,05 აჩვენა და VI ადგილი დაიკავა. მისი თანაგუნდელი მიხეილ ზადირაკინი ამ სახეობაში შედეგით 24,22 XIII ადგილზე აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ამავე დისტანციაზე წინასწარ გაცურვაში უკრაინის წარმომადგენელმა ვლადიმერ ტკაჩენკომ საკავშირო რეკორდი დაამყარა — 22,95, ფინალურ გაცურვაში კი კიდევ უფრო გააუმჯობესა შედეგი — 22,78.

ამ შეჯიბრებაზე კიდევ ერთი საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა რსფსრ-ის წარმომადგენელმა სერგეი გარომ (100 მ ბატერფლაით — 54,14).

ახლა ისევ ჩვენს მოცურავეებს დავუბრუნდეთ.

სერგეი კოშკო 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მეექვსე იყო — 2.07,78. შეჯიბრების ბოლო დღეს მან ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში სცადა ძალა და წინასწარ გაცურვაში ერთი წლის წინათ მის მიერ დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა — 2.08,24, მაგრამ ფინალში ოდნავ გააუარესა შედეგი (2.08,79) და VII ადგილი დაიკავა.

უნდა ითქვას, რომ კოშკო ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა. როგორც აღვნიშნეთ, იგი 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც გამოდიოდა, მაგრამ ვიხილეთ 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეთა შორისაც, სადაც კოზლოვთან, გორბუნოვთან და მაკაროვთან ერთად იასპარეზა. ამ ოთხეულმა წინასწარ გაცურვაში საქართველოს რეკორდი (3.31,14) დაამყარა, ფინალში კი ეს შედეგი გააუმჯობესა (3.30,86) და V ადგილი დაიკავა.

განთიადელი იგორ არტიომოვი (თბილისი) 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში იუნიორთა რესპუბლიკური რეკორდით (4.01,14) XII იყო. ამავე სტილით 1500-მეტრიან დისტანციაზე კი XIV ადგილზე აღმოჩნდა (16.09,86). დინამოელი ზაზა ზურაბაშვილი XVI ადგილზე გავიდა.

თბილისელმა არმიელმა იური ვდოვიჩენკომ 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში 57,52 აჩვენა, რაც მეცამეტე შედეგი აღმოჩნდა, მეცამეტე იყო მისი თანაგუნდელი სლავა კოზლოვიც (100 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 59,54).

როგორც ხედავთ, 18 მოცურავიდან მეტ-ნაკლებად მხოლოდ ათმა გამოიჩინა თავი, ისინი 16 საუკეთესოს შორის მოხვდნენ და ჩათვლაც მოგვცეს. დანარჩენი 8 სპორტსმენიდან რამდენიმემ თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა, მაგრამ ისინი თექვსმეტ საუკეთესოს შორის მაინც ვერ მოხვდნენ.

## მომავლის იმედით...

**ძალოსანთა** სასპარტაკიადო პროგრამა ტრადიციულად ზემძიმე წონის ათლეტებმა დაამთავრეს. ამ წონაში, როგორც ვიუწყებოდით, ჩვენს რესპუბლიკას მონაწილე არა ჰყოლია. სუპერძალოსნებს შორის ორჭიდის ჯამში ერთნაირი წონა 430 კგ დაძლიეს ევგენი სიპკომ (ყაზახეთი) და სერგეი კოლევატოვმა (რსფსრ). ჩემპიონი გახდა სიპკო, რომელიც მეტოქეზე მსუბუქი აღმოჩნდა. III ადგილზე გავიდა რსფსრ-ის სპორტსმენი — ლეი ბოიარჩუკი — 410 კგ.

შეჯამდა გუნდური შედეგები. 1. რსფსრ — 343 ქულა, 2. უკრაინა — 271, 3. სომხეთი — 190, 4. ბელორუსია — 187, 5. ყაზახეთი — 167, 6. უზბეკეთი — 149, 7. ყირგიზეთი—120, 8. მოსკოვი (რსფსრ) — 91, 9. ლენინგრადი (რსფსრ) — 78, 10. აზერბაიჯანი — 63, 11. თურქმენეთი — 58, 12. საქართველო — 53, 13. მოლდაველი — 52, 14. ლატვია — 15, 15. ტაჯიკეთი — 14, 16. ლიტვა — 5, 17. ესტონეთი — 0.

**ექსპრეს-კომენტარი**

საქართველოს ძალოსანთა ნაკრების შედეგების შეფასება ვთხოვეთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს ძალოსნობაში **ვლადიმერ სვეტილკოს.**

— ჩვენი გუნდი სპარტაკიადაზე მიზნად ისახავდა X ადგილის დაკავებას, XII ადგილზე კი აღმოვჩნდით. ალბათ იმიტომ, რომ მოსკოვის და ლენინგრადის გუნდები, რომელთათვისაც წესით უნდა გაგვესწრო, გაძლიერებული იყო რუსეთის ფედერაციის ნაკრების მიღმა დარჩენილი ძალოსნებით. მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა დაგეგმილი 49 ქულის ნაცვლად 53 მოიპოვა. სამდურავი არ გვეთქმის ჩვენი გუნდის მწვრთნელების მიმართ (უფროსი მწვრთნელი შოთა წერეთელი).

ერთი სიტყვით, ჩვენმა ძალოსნებმა სპარტაკიადაზე შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინეს. დღესდღეობით გუნდში რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენი გვყავს, რომლებიც მომავალში უსათუოდ იტყვიან თავიანთ სიტყვას.

## ...პლუს [illegible] ქულა

**საბჭოთა** კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე საქართველოს ბალახის ჰოკეისტ ვაჟთა გუნდმა IX ადგილი დაიკავა. წლეულს ჩვენს ნაკრებს VIII ადგილი ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ გუნდმა ამ მაჩვენებელს გადააჭარბა და VI ადგილზე გავიდა. თანაც სასპარტაკიადო ყულაბაში 36 ქულის ნაცვლად 56 ქულა შეიტანა. ეს, რა თქმა უნდა, წარმატებაა და ახალგაზრდული კოლექტივის კარგ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

გთავაზობთ ფინალური ტურნირის საბოლოო ცხრილს:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზბეკეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 30-5 | 12 |
| უკრაინა | 7 | 5 | 1 | 1 | 21-11 | 11 |
| ყაზახეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 36-7 | 11 |
| რსფსრ | 7 | 4 | 2 | 1 | 33-8 | 10 |
| ბელორუსია | 7 | 3 | 0 | 4 | 18-30 | 6 |
| საქართველო | 7 | 1 | 1 | 5 | 10-35 | 3 |
| მოსკოვი | 7 | 1 | 1 | 5 | 9-36 | 3 |
| ტაჯიკეთი | 7 | 0 | 0 | 7 | 8-33 | 0 |



საქართველოსა და მოსკოვის ჰოკეისტთა შეხვედრის მომენტი. ეს შეხვედრა, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ფრედ — 2:2 დამთავრდა.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

## სპარტაკიადის ტაბლო

გთავაზობთ სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის გუნდურ შედეგებს სპორტის ხუთ სახეობაში:

**ფარიკაობა.** 1. მოსკოვი — 377 ქულა; 2. რუსეთის ფედერაცია — 326, 3. უკრაინა — 322, 4. ლენინგრადი — 252, 5. ბელორუსია — 178, 6. უზბეკეთი — 166, 7. საქართველო — 116, 8. აზერბაიჯანი — 111, 9. ესტონეთი—107, 10. სომხეთი—96, 11. ყაზახეთი — 91, 12. ლატვია — 70, 13. ტაჯიკეთი — 30, 14. ლიტვა — 22, 15. თურქმენეთი — 10, 16. ყირგიზეთი — 0, 17. მოლდაველი — 0.

**ცურვა.** 1. უკრაინა — 1637, 2. რუსეთის ფედერაცია — 1489, 3. ლენინგრადი — 946, 4. მოსკოვი — 717, 5. ბელორუსია — 503, 6. მოლდაველი — 476, 7. უზბეკეთი — 451, 8. ყაზახეთი — 449, 9. ლიტვა — 250, 10. ესტონეთი — 234, 11. საქართველო — 154, 12. ლატვია — 90, 13. სომხეთი — 41, 14. აზერბაიჯანი — 3, 15. ტაჯიკეთი — 2.

**ძალოსნობა.** 1. რუსეთის ფედერაცია — 343, 2. უკრაინა — 271, 3. სომხეთი — 190, 4. ბელორუსია — 187, 5. ყაზახეთი — 167, 6. უზბეკეთი —149, 7. ყირგიზეთი — 120, 8. მოსკოვი — 91, 9. ლენინგრადი — 78, 10. აზერბაიჯანი — 63, 11. თურქმენეთი — 58, 12. საქართველო — 53, 13. მოლდაველი — 22, 14. ლატვია — 15, 15. ტაჯიკეთი — 14. 16. ლიტვა — 5, 17. ესტონეთი — 0.

**ბადმინტონი.** 1. რუსეთის ფედერაცია — 617, 2. მოსკოვი — 296,5, 3. ბელორუსია — 274,5, 4. უკრაინა — 272, 5. ყაზახეთი — 239,5, 6. ლენინგრადი — 148, 7. ესტონეთი — 63,5, 8. საქართველო — 44,5, 9. ლიტვა — 27,5, 10. მოლდაველი — 14, 11. უზბეკეთი — 13, 12. თურქმენეთი — 9.

**წყალსათხილამურო სპორტი.** 1. ბელორუსია — 475, 2. რუსეთის ფედერაცია — 452, 3. მოსკოვი — 277, 4. უკრაინა — 162, 5. ლატვია — 57, 6. საქართველო — 42, 7. ლიტვა — 15.

**როგორ ვიყენებთ სპორტულ ბაზებს?**

# სიტყვიდან— კონკრეტულ საქმეზე

**ფიზკულტურულ**-გამაჯანსაღებელი მოძრაობის ბუმმა მთელი მსოფლიო მოიცვა. ყველაზე მეტი მიმდევარი გამოუჩნდა გამაჯანსაღებელ რბენასა და ძუნძულით რბენას, დაიბეჭდა უამრავი სტატია, წიგნი, შეიქმნა მდიდარი სპეციალური ლიტერატურა, იღებენ მეთოდურ კინოფილმებს, ბოლო ხანებში გამაჯანსაღებელი სიარულის მოყვარულებიც მომრავლდნენ, აღარას ვამბობთ სპორტის ცალკეულ სახეობებში მომეცადინეებზე, რომელთა დევიზი ასეთია: „ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა!" ანდა, ქვეითი და ველო ტურიზმი ავიღოთ. ერთი სიტყვით, ადამიანებმა ირწმუნეს ფიზკულტურისა და სპორტის მაგიური ძალა, ამიტომაც არის, რომ სპორტულ ბაზებს ჯანმრთელობის კერებს ვუწოდებთ.

სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში საუკეთესო სპორტული ბაზები ჯერ კიდევ ვერ იქცა ჯანმრთელობის ნამდვილ კერებად, სრულად ვერ ვიყენებთ მათს სიკეთეს. როგორც ვიუწყებოდით, ჩვენი გაზეთი სისტემატურად გააშუქებს სპორტული ბაზების უფრო ეფექტურად გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ყურადღებას გავამახვილებთ ხელშემშლელ მიზეზებზე, პრობლემებზე. გასულ შაბათს და კვირას „ლელოს" კორესპონდენტები ეწვივნენ თბილისის ცენტრალურ სპორტულ ბაზებს, რათა ენახათ, როგორ არის დატვირთული ისინი დასვენების დღეებში.

**„დინამოს" სტადიონი.** რესპუბლიკის ამ უპირველესი სპორტული ობიექტის კარი ყოველ დილით ადრიანად იღება, სტადიონის დირექცია სისტემატურად აქვეყნებს განცხადებებს გამაჯანსაღებელ სექციებში მსურველთა მიღების თაობაზე, მაგრამ... არც შაბათს, არც კვირას ჩვენს სტადიონზე, მის სპორტულ ობიექტებზე განსაკუთრებული გამოცოცხლება არ იგრძნობოდა, არადა, აქ ყველა პირობაა საამისოდ (გასახდელები, საშხაპეები, მეთოდისტები). სისტემატურად მეცადინეობენ მხოლოდ ხანდაზმულთა გამაჯანსაღებელი ჯგუფები და რბენის რამდენიმე მოყვარული. ეს არის და ეს. კვირას, მაგალითად, ველოსიპედების გამქირავებელ პუნქტს 12 საათამდე მხოლოდ სამმა ადამიანმა მოაკითხა. კორესპონდენტმა გუშინ დილითაც შეიარა სტადიონზე — კვლავ სიჩუმე!

— ჩვენ მზად ვართ მოვემსახუროთ მოსახლეობას, მაგრამ ხალხი არ მოდის, კვირას სამი საათიდან დაბინდებამდე ფეხბურთის სათადარიგო მოედანიც დავუთმეთ სპორტის მოყვარულებს, მაგრამ თამაშის მსურველი არავინ არის, როგორც ჩანს, სხვა ღონისძიებას უნდა მივმართოთ — ამბობს სპორტკომბინატის დირექტორი ვაჟა ქლენტი.

ვეთანხმებით დირექტორს, აუცილებლად უნდა მივმართოთ სხვა ღონისძიებებს. რა შეიძლება გაკეთდეს? პირველ ყოვლისა, რაიონის სპორტკომიტეტ... და სპორტულმა საზოგადოებებმა, მიკრორაიონების საბჭოებმა, სახლმმართველობებმა უნდა გამოაცოცხლონ მუშაობა, საცხოვრებელ კორპუსებთანაც უნდა გამოვაკრათ განცხადებები, მაღალფარდოვანი მოწოდებებიდან კონკრეტულ საქმეზე გადავიდეთ. რატომ არ უნდა მოაწყონ სახლმმართველობებმა სპორტული ბაზების ხელმძღვანელთა დახმარებით გამაჯანსაღებელი ჯგუფების ფოტოსტენდები, ვთქვათ, უშუალოდ საცხოვრებელ მიკრორაიონებში, კინოთეატრების ფოიეში, საწარმოებში, მაღაზიების ვიტრინებში, კულტურისა და დასვენების პარკებში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში? ასე უფრო დავარწმუნებთ მოსახლეობას იმ სიკეთეში, რაც ფიზკულტურასა და სპორტს მოაქვს ადამიანებისთვის.

**„ლოკომოტივის" სტადიონი.** ამ ბაზაზე (დირექტორი გ. ჭანტურიძე), რომელიც ყოველთვის მზადაა მსურველთა მისაღებად, შაბათს და კვირას ძირითადად სირბილის მოყვარულნი შეკრებილიყვნენ, აქ შეხვდებოდით სხვადასხვა ასაკის ხალხს. კვირას, მაგალითად, შვიდი ათასამდე მოზარდი მონაწილეობდა რბენებში, რომელიც მოეწყო მორბენლის საკავშირო ერთთვიურის პროგრამით. მაგრამ უფრო ეფექტურად შეიძლება ამ სარბიელის გამოყენება მოსახლეობას შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის გასაშლელად. საამისო რეზერვები არის. პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს პარკი, სადაც შეიძლება მოეწყოს სხვადასხვა სახის ტრენაჟორები. ეს კიდევ უფრო მიიზიდავდა ხალხს და ვარჯიშებს უფრო სასარგებლოს გახდიდა. შეიძლება გაიხსნას ველოსპორტის მოყვარულთა ჯგუფი, მოეწყოს სპორტული ინვენტარის გაქირავება და ა. შ.

**„ბურევესტნიკის" სპორტული კომპლექსი** (დირექტორი დ. ფოფხაძე) მრავლად იზიდავს გამაჯანსაღებელი ცურვის, ფეხბურთის, ათლეტური ტანვარჯიშის მოყვარულებს. სექტემბრიდან აქ მუშაობს გამაჯანსაღებელი ცენტრები, სადაც მომსახურება კომპლექსურია. გამაჯანსაღებელ სააბონემენტო ჯგუფებში მომეცადინეები კომპლექსის ყველა სიკეთით სარგებლობენ. აქ მათ შეუძლიათ ისარგებლონ საუნით, გაიკეთონ წყალქვეშა მასაჟი, მიიღონ ეგრეთ წოდებული შარკოს შხაპი და ა. შ..

## რა გაკეთდა „ლელოს" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ?

**ჩვენი** გაზეთის 7 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ წყნეთის ახალი სპორტული კომპლექსი საზეიმოდ გახსნის შემდეგ გამოკეტილია. აქ არ ტარდება არავითარი მუშაობა იმის გამო, რომ შტატების გამოყოფის საკითხი შეიძლება მხოლოდ ახალი წლიდან გადაწყდეს.

„ლელოს" კრიტიკულ პუბლიკაციას ოპერატიულად გამოეხმაურა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილება (გამგე ვ. ქურდიანი). მიღებულია ზომები მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსასწორებლად. გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით ვ. ქურდიანს. აი, რა გვითხრა მან: „ლელოს" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ სასწრაფოდ შევადგინეთ წყნეთის ახალი სპორტული კომპლექსის პასპორტი, დავადგინეთ კატეგორია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება შტატების რაოდენობა. იმისათვის, რომ ბაზას ჰყავდეს პატრონი და მოსახლეობამ იმეცადინოს, დღეს საბოლოოდ გადაწყდა კომპლექსის დირექტორისა და ინსტრუქტორის შტატის საკითხი. ახლა მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტიდან ველოდებით კომპლექსის საექსპლუატაციოდ მიღების დასტურს, რის შემდეგაც ხსენებული ორი შტატი დაუყოვნებლივ გამოიყოფა.

ბ. ბარქაია — საქართველოს პროფსაბჭოს საფინანსო განყოფილების გამგე: პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების თხოვნა დავაკმაყოფილეთ — წყნეთის სპორტული კომპლექსის დირექტორისა და ერთი ინსტრუქტორის შტატი დღეიდან გამოყოფილია. ახალი წლიდან სამეურნეო ანგარიშზე შტატი სრულად დაკომპლექტდება.

## თბილისში დამთავრდა დინამოელთა საკავშირო პირველობა კალათბურთში

# იდერის ...რეშე

...ბილისის სპორტის სასახლეში ...ავრდა „დინამოს“ კალათბურ... ვაჟთა გუნდების საკავშირო ...ელობა, რომელშიც, როგორც ... ვიუწყებოდით, მოსკოვის, ...ისის, ფრუნზესა და ჩელია... ის თანაკლუბელები ასპარე... ნენ. ეს შეჯიბრება ძალთა ...ანელი შემოწმება იყო უმა... ლიგის კალათბურთელ ვა... 54-ე საკავშირო ჩემპიონატის ...რომელიც 18 სექტემბერს იწ... სამწუხაროდ, თბილისის დი... ...ლები ამ ტურნირში თავისი ...რის ნიკოლოზ დერიუგინის გარეშე გამოდიოდნენ, რამაც, რა თქმა უნდა, გუნდის თამაშზე გარკვეული გავლენა იქონია.

შეჯიბრების ბოლო დღეს მოსკოვისა და თბილისის თანაკლუბელთა შეხვედრა მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. გამარჯვება მოსკოველებმა მოიპოვეს — 99:94 (50:48), რომლებმაც მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლეს.

შედარებით უინტერესო გამოდგა ფრუნზესა და ჩელიაბინსკის გუნდების შეხვედრა. ფრუნზელთა უპირატესობა ამჯერად აშკარა იყო — 116:78 (46:32).

გთავაზობთ გათამაშების საბოლოო ცხრილს:

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვი | 3 | 3 | 0 | 336-254 | 6 |
| ფრუნზე | 3 | 2 | 1 | 286-277 | 5 |
| თბილისი | 3 | 1 | 2 | 287-286 | 4 |
| ჩელიაბინსკი | 3 | 0 | 3 | 255-347 | 3 |

# ...ალგირისი“ ...ინალში გავიდა

საკონტინენტთაშორისო თასზე

...ენოს-აირესი. ასეთი დიდი ...ბით საერთაშორისო შეხვედ... იუგოსლავიის „ციბონას“ ალ... ...რც წაუგია. არა და ტურნირი ...მ პრესტიჟული იყო და იუგო... ...ვიის კალათბურთელებს ყველა ... ჰქონდათ ეფიქრათ წარმატე...

...თი სიტყვით, კალათბურთელ... საკონტინენტთაშორისო ტურ... ...ის ნახევარფინალში ერთმა... ძველი სპორტული მეტოქეე... შეხვდნენ — ზაგრების „ციბო... და კაუნასის „ჟალგირისი“. ...ელი ტაიმის მიხედვით ბრძო... მძაფრი და დაძაბული უნდა ...ილიყო (კაუნასელებმა მოიგეს 45:40), ვინაიდან 5-ქულიანი ...ობა ასეთი რანგის გუნდები... არაფერს ნიშნავს.

...ძოლის ბედი, ფაქტიურად, მეორე ნახევარში გადაწყდა. კაუნასელთა უპირატესობა ამ ოცწუთიან მონაკვეთში აშკარა იყო. იუგოსლავიელებმა ვერაფერი გააწყვეს კურტინაიტისისა და ხომიჩუსის ზუსტი სროლების წინააღმდეგ. ფარქვეშ კი საბონისმა აშკარად დაჩაგრა ყველა. „ჟალგირისმა“ საბოლოოდ გაიმარჯვა ანგარიშით 104:77. საბჭოთა გუნდში სნაიპერული სროლებით თავი გამოიჩინეს: ხომიჩუსმა — 28 ქულა, კურტინაიტისმა — 22. იუგოსლავიელთაგან — პეტროვიჩმა — 16.

მეორე ნახევარფინალში „ფეროკარილ ოესტემ“ (არგენტინა) ბრაზილიის „კორინტიანსი“ დაამარცხა — 103:84 (47:39).

საპატიო პრიზისათვის ბრძოლაში ერთმანეთს „ჟალგირისი“ და „ფეროკარილ ოესტე“ შეხვდებიან.

# ევროპის საკლუბო თასები

...ქტემბერს იწყება ფეხბურთ... ...ვროპის 1986-1987 წლების სა... ...ო გათამაშებათა მატჩები. ხულ ...ხან უეფა-ს სადისციპლინო ...სიამ გამოაქვეყნა იმ ფეხბუ... ...ლთა სია, რომლებიც წინა გა... ...მებათა დროს ჩადენილი დარ... ...ებისთვის დისკვალიფიცი... ...ლი არიან სხვადასხვა ვადით.

...მატჩით მიეცა დისკვალიფიკა... იუგოსლავიის „ჰაიდუკის“ ფე... ...თელს ვულიჩს, 4 მატჩით აე... ...ლა მომავალ შეჯიბრებებში ...წილეობა საფრანგეთის „ნან... “ ფეხბურთელს ზაკარიანს. ორ... ...ს აკრძალვა თასების მფლო... ...ა თასის გათამაშებას ეხება. ...სჯილთა შორის, სამწუხაროდ, ...ნ საბჭოთა ფეხბურთელებიც. ...ოვის „სპარტაკის“ მცველმა ა. ბუბნოვმა უეფა-ს თასის გათამაშებაში წესრიგი დაარღვია საფრანგეთის „ნანტთან“ შეხვედრაში, რისთვისაც იგი დისკვალიფიცირებულია 5 მატჩით. უნგრეთის „რაბა ეტო“-სთან პირველ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს მინსკის „დინამოს“ ნახევარმცველი ს. ალეინიკოვი, რომელმაც წინათ ჩატარებულ მატჩებში ორჯერ დაიმსახურა ყვითელი ბარათი.

დაისაჯნენ ჩემპიონთა თასის ახლანდელი მფლობელის, რუმინეთის „სტიაუას“ ფეხბურთელები ლეკეტუში, ბიოლენი და ბუზესკუ.

მოსკოვის „სპარტაკი“ პირველ მატჩს უეფა-ს თასზე შვეიცარიის „ლიუცერნთან“ ჩაატარებს საკუთარ მინდორზე.

## I ლიგა

... სექტემბერს შედგა I ლიგის ...ურთელთა საკავშირო გათამაშების 34-ე ტურის მატჩი კემეროვოს „კუზბასსა“ და ცსკა-ს შორის.

გაიმარჯვა ცსკა-მ — 1:0.

## ...მახერი, რუმენიგე ... სხვები

...ერ-ის ფეხბურთელთა ნაკრებმა ...პის ჩემპიონატისათვის სამ... ...სი დაიწყო.

...დი რეფორმები შემადგენლო... ამჯერად არ მომხდარა. უფ... სწორად, მექსიკის მსოფლიო ...იონატის ძირითადი ბირთვი ... ფეხბურთელი) შენარჩუნებუ... ბეკენბაუერი კვლავინდებუ... დიდ იმედებს ამყარებს შუ... ...რზე, რომელიც წლეულს სე... ...ს საუკეთესო ფეხბურთელად ...აცხადეს, რუმენიგეზე, რომე... ...ც, როგორც იქნა, მოირჩინა ...მები და ჩვეულ ფორმაში შე... აგრეთვე ნაკრების სხვა „ვე... ...ნებზე“.

...ნდის შემადგენლობაში ორი ...ბედაც“ მოხვდა. ესენია 22 ...ს დიტერ ეკშტაინი („ნიურნბე...) და 23 წლის როლანდ ვოლ...ტი (მიუნჰენის „ბაიერნი“).

## „მატჩი“ — რივა — ჯერარდუჩი

რომის რადიომ საინტერესო დისკუსია მოაწყო, სადაც ერთმანეთს ფეხბურთის მიმომხილველები დაუპირისპირდნენ.

აი, რა თქვა ჟურნალისტმა ჯერარდუჩიმ: „განა არგენტინელებმა მსოფლიო ჩემპიონატის რომელიმე მატჩში მაინც უჩვენეს ისეთი თამაში, როგორიც რუსებმა — უნგრელებთან, დანიელებმა — ურუგვაელებთან, ფრანგებმა და ბრაზილიელებმა ერთმანეთთან მეოთხედფინალურ მატჩში?“

ჟურნალისტს არ დაეთანხმა წარსულში ცნობილი თავდამსხმელი ლუიჯი რივა: „არგენტინელებმა მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონთა წოდება ისევე დამაჯერებლად მოიპოვეს, როგორც ჩვენ — ესპანეთში. ბუნებრივია, რომ გაიმარჯვა გუნდმა, რომლის რიგებშიც მარადონა თამაშობს“.

სასპარტაკიადო ტურნირის ექო

# ძიების საზღაური

IX

„ლელო“ უკვე იუწყებოდა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით მხატვრულ ტანვარჯიშში კარგად გამოვიდა საქართველოს ნაკრები გუნდი. ჩვენი გოგონები მხოლოდ აღიარებულ ფავორიტებს — რუსეთის ფედერაციის გუნდს და მასპინძელთა წარმომადგენლებს—ბელორუსიის ტანმოვარჯიშეებს ჩამორჩნენ (შეჯიბრება მინსკში ჩატარდა), საბოლოოდ მათ მესამე ადგილი დაიკავეს, მაგრამ ბრინჯაოს მედლებთან ერთად გულშემატკივართა და სპეციალისტთა სიმპათიაც დაიმსახურეს.

განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ეს შედეგი მოპოვებულია არა რომელიმე რიგით ტურნირში, არამედ ისეთ ავტორიტეტიან და დიდმნიშვნელოვან შეჯიბრებაში, როგორიც არის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. სასპარტაკიადო ტურნირებში კონკურენცია ყოველთვის დიდია, შეჯიბრება უაღრესად დაძაბულია. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნელი სალაძის სიტყვები. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა:

— მე ბევრ საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირს დავსწრებივარ და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადას ვერც ერთი ვერ შეედრება დაძაბულობით, მონაწილეთა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობითა თუ შინაგანი განცდებით. ეს ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ აქ ყოველ ქულას მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის საერთო შედეგისთვის.

**● მით უფრო სასიამოვნოა საქართველოს გუნდის წარმატება. ახლა, სანამ უშუალოდ სასპარტაკიადო ტურნირზე ვისაუბრებდეთ, თუ შეიძლება, გაიხსენეთ მოსამზადებელი პერიოდის ბოლო ეტაპი.**

— ბოლო ეტაპი, ბოლო შეკრება, ჩვენ მოსკოვში გავიარეთ. აქ საუკეთესო პირობები შეგვიქმნეს ნაყოფიერი მუშაობისა და დასვენებისთვის. იმ პერიოდში მოსკოვში ჩოგბურთელთა სასპარტაკიადო ტურნირი მიმდინარეობდა. როგორც კი დროს გამოვნახავდით, მივდიოდით თანამემამულეთა თამაშის სანახავად და საქომაგოდ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა შერეულ წყვილთა მეოთხედფინალური შეხვედრა: ბადის ერთ მხარეს ლეილა მესხი და ვლადიმერ გაბრიჩიძე იდგნენ. ასპარეზობის ერთ მომენტში ლეილა დაშავდა — ფეხი იტკინა, მაგრამ მაინც გააგრძელა თამაში. ეტყობოდა, რომ კორტზე ყოფნა უჭირდა, მაგრამ ცალ ფეხზე ხტუნავდა და ცდილობდა როგორმე დახმარებოდა პარტნიორს, რომელიც თავის მხრივ გაორკეცებული ენერგიით, თავგანწირვით იბრძოდა. ქართველმა ჩოგბურთელებმა მოიგეს ეს შეხვედრა! ეს თავისებური სპორტული გმირობა ჩვენი გუნდის წევრებისათვის სამაგალითოდ იქცა და, ვფიქრობ, გარკვეული როლიც ითამაშა იმაში, რომ მოგვიანებით არც მათ შეირცხვინეს თავი, როცა გადამწყვეტი ვარჯიშის შესრულებისას სამი რგოლი გაუტყდათ და მაინც დაასრულეს პროგრამა.

**● გვიამბეთ, როგორ შეიქმნა ის ვარჯიში, რომელმაც არა მარტო ბრინჯაოს მედლები მოგიტანათ, საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურა?**

— ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ყური მოვკარი ლამაზ მელოდიას, რომელიც გიტარაზე სრულდებოდა. მუსიკამ მომაჯადოვა! მაშინვე ავიღე კასეტა, მელოდია ჩავიწერე. იმავე დღეს, ვარჯიშზე, გოგონებს ვთხოვე შეესრულებინათ იმპროვიზებული ცეკვა ამ მელოდიის თანხლებით. სიტყვა „ცეკვა“ შემთხვევით არ მიხმარია: გოგონები მართლაც ცეკვავდნენ და უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ნომრის საბოლოო ვარიანტშიც დავტოვეთ ცეკვის ელემენტები. მაგრამ ამ ვარჯიშის საბოლოოდ დახვეწას, რა თქმა უნდა, წინ უძღოდა მომქანცველი ძიება.

თავდაპირველად მოწინააღმდეგეებიც გამოგვიჩნდნენ. უკვე დამუშავებული ვარჯიშის ასე მკვეთრად გადახალისება, უფრო სწორად, შეიძლება ითქვას, ახალი ვარჯიშის შექმნა მაშინ, როცა სპარტაკიადის სტარტამდე რამდენიმე კვირა რჩებოდა, მართლაც გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მე ისეთ შინაგან ალმაფრენას ვგრძნობდი, როცა გოგონებიც მხარში ამომიდგნენ, საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე და ახალი პროგრამის დადგმას შევუდექით.

განსაკუთრებით გაჭირდა შესაფერისი მუსიკალური გაგრძელების მოძებნა. საბოლოოდ არჩევანი „კარმენზე“ შევაჩერეთ, მაგრამ, არჩეული მელოდიების ერთიან ნაწარმოებად შერწყმა არანაკლებ შრომატევადი და რთული სამუშაო გამოდგა. ჩვენ არაერთხელ დავამონტაჟეთ ფირი სხვადასხვა ვარიანტით... საბოლოოდ კი ოპტიმალურ გადაწყვეტას მივაგენით.

ტურნირის დაწყებამდე სულ მცირე დრო რჩებოდა. ახალ ვარჯიშს, მის ცალკეულ დეტალებს ჩვენ უკვე მოსკოვში ვხვეწდით. ერთხელ მეცადინეობაზე ერთი ცნობილი სპეციალისტი მოვიწვიეთ და მას ვთხოვე, ასე ვთქვათ, მიუკერძოებელი თვალით შეეხედა ვარჯიშისთვის და თავისი აზრი გაეზიარებინა... იგი აღფრთოვანებული წავიდა ჩვენგან!

**● მინსკის აუდიტორიამ როგორ მიიღო ეს კომპოზიცია?**

— ჩვენმა გოგონებმა ვარჯიში რომ დაიწყეს, დარბაზი გაირინდა, პროგრამის მეოთხედის შესრულების შემდეგ კი ტრიბუნები გამოცოცხლდნენ, მუსიკას ტაში შეაშველეს და საქართველოს გუნდის გამოსვლა ამ ტაშის გრიალში მიმდინარეობდა. ბოლოს მაყურებლებმა ნამდვილი ოვაცია მოუწყვეს ქართველ სპორტსმენებს. ბევრი თბილი სიტყვა მოვისმინეთ სპეციალისტებისგანაც. ჩვენი გუნდის კარგ გამოსვლაზე მეტყველებს ისიც, რომ ჩამოვიტოვეთ ტრადიციულად ძლიერი მეტოქეები — მოსკოვისა და უკრაინის კოლექტივები.

კიდევ ერთი დეტალი: 24 აგვისტო, როცა ჩვენს გუნდს ჯგუფურ ვარჯიშში დაკავებული მესამე ადგილისთვის ბრინჯაოს მედლები გადაეცა, კოლექტივის ერთ-ერთი წევრის ფიქრია ფანქველაშვილის დაბადების დღეა.

**● თუ შეიძლება, საუბრის დასასრულს თქვენი კოლექტივის სამომავლო გეგმებზეც გვითხრათ რამდენიმე სიტყვა.**

— დიდი შეჯიბრებიდან დაბრუნების შემდეგ გუნდის წევრებს ჩემი მუშაობის პრაქტიკაში ახლა პირველად მივეცი დასვენების საშუალება. 3-4-დღიანი შესვენების შემდეგ კვლავ შევიკრიბეთ და წვრთნა განვაგრძეთ. მომავლის გეგმებზე კონკრეტულად ახლა ვერაფერს გეტყვით, ისე კი შევეცდებით უფრო დავხვეწოთ ტანმოვარჯიშეთა ოსტატობა და არც მომავალში შევირცხვინოთ თავი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც ხელი შეგვიწყო სპარტაკიადისთვის კარგად მომზადებაში. აი, ეს ორგანიზაციები: საქართველოს სპორტსახკომი და თბილისის სპორტკომიტეტი, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, უმაღლესი სპორტული ოსტატობის ტანვარჯიშის რესპუბლიკური სკოლა. მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ის სპეციალისტები, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობდნენ საქართველოს ნაკრებთან: რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები ლანა მეყანწიშვილი და ტატიანა გედევანიშვილი, გუნდის ექიმი თამარ რცხილაძე. ჩვენს წარმატებაში ყველა მათგანმა შეიტანა წვლილი.

**● ქალბატონო ნელი, დიდ მადლობას მოგახსენებთ ვრცელი და საინტერესო ინტერვიუსთვის, კიდევ ერთხელ გილოცავთ წარმატებას და გისურვებთ მომავალშიც ბევრჯერ გაგვეხარებინოთ თქვენი გულშემატკივრები.**

ესაუბრა
ზურაბ ფოცხვერია.



ნელი სალაძე აღსაზრდელებთან.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## მკითხველი — გაზეთი

**● როგორც მახსოვს, საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე საქართველოს მოკრივეებმა VII გუნდური ადგილი დაიკავეს. იქნებ გვიპასუხოთ, ცალკეულ წონით კატეგორიებში ჩვენს მოკრივეთაგან ვის როგორი შედეგი ჰქონდა.**

შალვა მიქაშავიძე.

— გუნდურ ჩათვლაში 91 ქულით ჩვენი მოკრივეები მართლაც VII ადგილზე გავიდნენ. სხვათა შორის, უზბეკეთის გუნდსაც ასეთივე შედეგი ჰქონდა, მაგრამ პირადი ადგილების მიხედვით უპირატესობა ჩვენ მოგვაკუთვნეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩვენმა მოკრივეებმა ასეთი შედეგები აჩვენეს: 51 კგ იური აკმურზინი („სპარტაკი“) — IX-XVI ადგილი; 54 კგ სერგეი ჩოტულიდი („სპარტაკი“) — II ადგილი; 57 კგ. ჯუმბერ კვანტალიანი (ასკ) — II ადგილი; 60 კგ ზაურ კოზაევი („სპარტაკი“) — IV ადგილი; 63,5 კგ ირაკლი მელაძე („სპარტაკი“) — IX-XVI ადგილი; 67 კგ ოთარ ზებულაშვილი („ბურევესტნიკი“) — IX-XVI ადგილი; 71 კგ გივი მუხაძე („სპარტაკი“) — IX-XVI ადგილი; 75 კგ რომეო აკოფოვი („დინამო“) — III ადგილი; 81 კგ თათევოს მიქაელიანი („დინამო“) — IX-XVI ადგილი, მძიმე. დავით ჩოგოვაძე („ბურევესტნიკი“) — IX-XVI ადგილი.

# დარბის ყველა...

ჩვენში რბენისა და სიარულის ერთთვიური 7 სექტემბერს დაიწყო. მისი ერთ-ერთი ეტაპი დაგვირგვინდა კვირის მასობრივი გარბენით, რომელიც თბილისის მთავარ ქუჩებში — რუსთაველისა და ჭავჭავაძის პროსპექტებზე მოეწყო. ეს იყო ჯანმრთელობის ნამდვილი ზეიმი, რომელიც სხვადასხვა ასაკის მორბენალთა გამოსვლამ დაამშვენა.

სტარტზე 18 ათასი ადამიანი გამოვიდა. წარსულში ცნობილი სპორტსმენების, მათ შორის, ევროპის ჩემპიონის დავით კვაჭაძისა და სხვათა გვერდით იყვნენ ახალბედებიც, რომელთათვისაც ეს პირველი სპორტული ნათლობა იყო. ყველას კი რბენის სიყვარული აერთიანებდა. აქ იყვნენ ოჯახებიც, რომლებიც ადრე სხვადასხვა მასშტაბის საკავშირო შეჯიბრებებს ამშვენებდნენ. ცნობილი მორბენალი, სსრ კავშირის ექსრეკორდსმენი ელენე გოკიელი თავის შვილიშვილს მეცხრეკლასელ ვანო გვინჩიძეს „მეურვეობდა" — არიგებდა ბებიის კვალზე წასულ თარჯმორბენალ ჭაბუკს, როგორ გაენაწილებინა ძალა 5-კილომეტრიან ტრასაზე...

ამ გარბენში გამარჯვებული იყო ყველა, ვინც ბოლომდე ირბინა და ასეთ სერიოზულ ასპარეზობაში გამოსცადა თავისი თავი. მათ ფინიშზე პრიზი — ბოტასები ელოდათ.

დარბის ყველა და იმარჯვებს თვით ჯანმრთელობა.

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სტარტი მიეცა მასობრივ გარბენს; გამარჯვებული ოლეგ ხარაზიშვილი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.**





# პირველ საშუალედო ფინიშზე

**სოფია. (საკდესი). მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძისა და ელენა ახმილოვსკაიას მატჩის პირველმა ნახევარმა, რომელიც სოფიაში მიმდინარეობს, „ეკვატორი" გადაკვეთა — ნათამაშებია ხუთი პარტია. მიუხედავად ამისა, ამ მცირე მონაკვეთში მსოფლიო ჩემპიონმა შექმნა სოლიდური „მარაგი" — ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 3,5:1,5 მის სასარგებლოდ. საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა ცნობილ საერთაშორისო დიდოსტატს ევგენი ერმენკოვს გაეზიარებინა შთაბეჭდილებები მოწინააღმდეგეების თამაშზე.**

— ჩემი მთავარი შთაბეჭდილება, — თქვა ერმენკოვმა, — ის არის, რომ ქალთა ჭადრაკის „დედოფალი", როგორც ჩანს, მიისწრაფვის თავისი შემოქმედებითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისაკენ. პირველ ყოვლისა, იგი თეთრებით თამაშობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დახურულ" ვარიანტებს, რაც ადრე არ იყო მისთვის დამახასიათებელი. გარდა ამისა, ბულგარეთის დედაქალაქში ჩემპიონი უპირატესობას ანიჭებს პოზიციურ ბრძოლას, სადაც, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ძლიერია მისი მოწინააღმდეგე, ხოლო მაიას ყოველთვის უყვარდა იერიში, სწრაფი და მძაფრი კომბინაციები. მან, ასე მგონია, ელენას მოუწყო სერიოზული გამოცდა დისტანციის პირველსავე მონაკვეთზე. ჯერჯერობით შედეგი მსოფლიო ჩემპიონისთვის ერთობ კეთილსაიმედოა.

— შთამბეჭდავია მსოფლიო ჩემპიონის სადებიუტო წყობის მრავალფეროვნებაც, — თქვა შემდეგ ერმენკოვმა. — პირველ ორ პარტიაში, სადაც თეთრებით თამაშობდა, მან აირჩია კატალონიური დაწყება, ხოლო მეხუთეში — ახალინდური დაცვა. საშინაო დავალების რეალიზაციით იგი ყოველთვის იღებს სადებიუტო უპირატესობას, საიმედო, პრაქტიკულად წაუგებელ პოზიციებს. ასევე ექსპერიმენტებს მიმართავს მსოფლიო ჩემპიონი შავებით თამაშის დროსაც: ადრე ესოდენ საყვარელი ძველინდური დაცვის ნაცვლად სიამოვნებით იყენებს გრიუნფელდის დაცვას. ეს მოულოდნელი იყო ყველასთვის, მით უმეტეს — უშუალო მოწინააღმდეგისთვის, მაგრამ პირველ პარტიაში შავებით მოთამაშე მაიას აბსოლუტურად მოსაგები პოზიცია შეექმნა, ხოლო მეორეში, სადაც ზუსტად იცავდა თავს, მიუხედავად წამოჭრილი პრობლემებისა, დამაკმაყოფილებელ ყაიმს მიაღწია.

თეორიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო გახლდათ მეოთხე პარტია, სადაც ჩიბურდანიძემ გაბედული სიახლე გამოიყენა. საჭადრაკო ხელოვნებაში ეს სიახლე მაიას სახელით შევა.

— მინდა ვთქვა, — ხაზი გაუსვა ბულგარელმა მოჭადრაკემ, — რომ ელენა ახმილოვსკაიას სადებიუტო სტადიაში უხდება ერთობ რთული ამოცანების გადაწყვეტა, რომლებსაც მის წინაშე აყენებს მსოფლიო ჩემპიონი. როგორც ჩანს, მატჩისთვის მზადების პერიოდში პრეტენდენტს არ გაუთვალისწინებია ასეთი ვარიანტები და სწორედ ამიტომ ვერა და ვერ იპოვა „თავისი თამაში". ვფიქრობ, მან სასწრაფოდ უნდა მოძებნოს სადებიუტო სტადიაში მოულოდნელი გზები, რათა საიმედო ბაზა შექმნას უპირატესობის მოსაპოვებლად. ჯერჯერობით მას ეს არ გამოსდის.. ამიტომ პრეტენდენტისთვის ანგარიშის გათანაბრება იოლი როდი იქნება, რომ არაფერი ვთქვათ მოგებაზე. ამავე დროს, არც ამის გამორიცხვა იქნებოდა სწორი.

ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება დაბეჯითებით, რომ მიმდინარეობს და, იმედი უნდა ვიქონიოთ, კვლავაც გაგრძელდება ორი შესანიშნავი მოჭადრაკის უაღრესად რთული და მომხიბლავი ბრძოლა.

# მშვიდობა, მუსიკა, ტურიზმი...

**ასე ეწოდა I საერთაშორისო ტურისტულ ფესტივალს, რომელსაც ოთხი დღის განმავლობაში მასპინძლობდა ჩვენი რესპუბლიკა. იგი მშვიდობის საერთაშორისო წელს მიეძღვნა და მთელი მისი შემოსავალი მშვიდობის ფონდში გადაირიცხა.**

ფესტივალის საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალები თბილისის სპორტკომიტეტის ლენინური კომკავშირის ცენტრალურ საწყლოსნო სპორტულ კომპლექსში მოეწყო. შეკრების მონაწილე ქვეყნების — ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშები ამშვენებდა სპორტულ სარბიელს, რომლის ტრიბუნები ხალხს ვერ იტევდა.

პირველ დღეს მაყურებელმა იხილა საქართველოს ორ ათეულზე მეტი მხატვრული ანსამბლის — ცნობილი ვოკალური, ქორეოგრაფიული, საგუნდო კოლექტივების, აგრეთვე რესპუბლიკის სინქრონული ცურვის საუკეთესო ოსტატების გამოსვლა, რომლებიც ახლა სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

მომდევნო დღეს ფესტივალის მონაწილეები მცხეთას ეწვივნენ, სადაც ადგილობრივ თეატრონში ფოლკლორული ანსამბლების საინტერესო საღამო გაიმართა.

შაბათს ფესტივალის მონაწილენი (სულ 600-მდე სტუმარი ჩამოვიდა ახალგაზრდული ტურიზმის საერთაშორისო ბიუროს „სპუტნიკის" საგზურებით) კვლავ ლენინური კომკავშირის სახელობის სპორტულ სარბიელზე შეიკრიბნენ. ამჯერად პროგრამაში იყო საესტრადო ანსამბლების კონცერტი, ბოლოს კი სინქრონული ცურვის ოსტატთა საჩვენებელი გამოსვლა გაიმართა.

### კარენ ესოიანი
### კრივი

**დაიბადა 1971 წელს სოხუმში. სიმაღლე 165 სმ, წონა 48 კგ. სწავლობს გულრიფშის საშუალო სკოლაში, მე-9 კლასის მოსწავლეა. კრივში ვარჯიში დაიწყო 1982 წელს მწვრთნელ აშოტ ესოიანთან. ამჟამად ვარჯიშობს ესოიანთან და თემურ სამუშიასთან.**



**პროფკავშირული სპორტსაზოგადოების წევრი. საქართველოს მოსწავლეთა 1986 წლის ჩემპიონი. ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა ტურნირის გამარჯვებული (1986), საკავშირო პროფკავშირთა ჭაბუკთა პირველობაში გამარჯვებული (1986 წ.).**

# მქესი საპრიზო ადგილი

ქალაქ ივანოვოში გაიმართა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო პროფკავშირების პირველობა ჭაბუკ მოკრივეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა მოკავშირე რესპუბლიკების ცხრა გუნდის 200 სპორტსმენი. ჩვენი რესპუბლიკიდან ტურნირში გამოდიოდნენ „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის", „ვოდნიკის", „კოლმეურნისა" და პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები, სულ 21 სპორტსმენი.

კარგად იასპარეზეს საქართველოს მოკრივეებმა.

48 კგ წონითი კატეგორიის ათლეტებში ყველას აჯობა კარენ ესოიანმა (სოხუმი, პროფკავშირული ორგანიზაცია).

63,5 კგ წონაში ვერცხლის მედალი ხვდა ფოთელ ალბერტ ოჩიგავას („ლოკომოტივი").

III ადგილები დაისაკუთრეს კახაბერ ფარღალავამ (52 კგ, „ვოდნიკი"), მირიან დოლონაძემ (60 კგ), ალეკო პატარიძემ (79 კგ) და ნიკოლოზ ხორბალაძემ (79 კგ; სამივე — „ბურევესტნიკი").

63,5 კგ წონითი კატეგორიის მოკრივეთა შორის თავი გამოიჩინა ლუხუმ თოთიაურმაც, რომელიც ამ წონაში საუკეთესოდ აღიარეს. მაგრამ, სამწუხაროდ, მსაჯის აშკარა შეცდომების გამო იგი უმედლოდ დარჩა. სხვათა შორის, სწორედ ამის გამო მისცეს დისკვალიფიკაცია რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ვ. ნაზაროვს (რსფსრ).

### ელვა-ინფორმა…

**ტყვიის სროლა. ქალაქ კა… ხში დამთავრდა სპორტსაზოგა… ება „დინამოს" ცენტრალური საბ… პირველობა ტყვიის სროლაში … ლგაზრდებს შორის. აქ წარმატ… იასპარეზა თბილისელმა გი… ამაშუკელმა, რომელმაც მცირ… ლიბრიანი პისტოლეტით მპ-6 … რჯიშში 600 შესაძლებლიდან … ქულა მოაგროვა, სპორტის ოს… ტის ნორმატივს სამი ქულით … დააჭარბა და პირველი ადგილი იპოვა.**

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** … სექტემბერი. დილის ტანვარჯ… — **9.00 (2)**; საჭადრაკო სკოლა … **11.55 (2)**; რიტმული ტანვარჯ… — **19.45 (2).**

**საქართველოს ტელევიზ…** **16 სექტემბერი.** მსოფლიო ჩემ…ონატი ჭადრაკში ქალთა შორ… მ. ჩიბურდანიძე — ე. ახმილო…კაიას მატჩი — **23.45.**

### „სპორტლოტო…

**გუშინწინ** მოსკოვში შე… „სპორტლოტოს" მორიგი, 37-ე … რაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-იდან:** … (კალათბურთი), 3 (ბობსლეი), … (ტანვარჯიში), 13 (სამთოსათხ…მურო სპორტი), 40 (რიკაო…), 41 (მაგიდის ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** … (ბიატლონი), 18 (მძლეოსნობა), … (ხელბურთი), 32 (ფიგურული … გურაობა), 35 (მაიბიანი ჰოკეი).

**რედაქტორის მოადგი…**
**თ. გაჩეჩილა…**

**თბილისის სპორტის სასახ…**

**გიწვევთ აერობიკის, ტრენა…რების, ათლეტური ტანვარჯიშ… მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბუ…თისა და ბადმინტონის საამ… მენტო ჯგუფებში სამეცადინო… ჯგუფებს ხელმძღვანელობას უ… ვენ გამოცდილი სპეციალისტებ…**

მოვარჯიშენი უზრუნველყოფ…ლი იქნებიან სამედიცინო მომ…ხურებით, კეთილმოწყობილი … სახდელებითა და საშხაპეებით.

**მეცადინეობა ტარდება ყო…ლდღე, დილის 7-დან საღამოს … საათამდე.** დაწვრილებითი ცნობ…ბის მიღება შეგიძლიათ დღ… 10-დან 17 საათამდე. ტელეფ…ნებზე: 36-20-54, 36-00-84.

**მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთელ ქალთა შორის**

# ათი მატჩ—ბოლი

**ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურმა მატჩმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინელებმა კუბის გუნდი ოთხ პარტიაში დაამარცხეს, ბრძოლა უაღრესად მძაფრი და სანახაობრივად საინტერესო გამოდგა — განსაკუთრებით მესამე და მეოთხე პარტიები.**

დასაწყისში მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო. პირველი ორი პარტია ჩინელებმა შედარებით ადვილად მოიგეს — 15:5 და 15:7. მესამე პარტიაში კუბის გუნდი უფრო აქტიურად თამაშობდა და სასურველ შედეგსაც მიაღწია — 15:10.

მეოთხე პარტიის პირველი ნახევარი მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობით აღინიშნა. შემდგომში კუბელებმა შესამჩნევად გამოასწორეს მდგომარეობა, თუმცა მალე კრიტიკულ მიჯნასთან აღმოჩნდნენ. ბრძოლის მიწურულში მსოფლიო ჩემპიონს ათჯერ ჰქონდა მატჩ-ბოლი, მაგრამ ის ერთადერთი ქულა, რომელიც მათ მსოფლიო ჩემპიონის სახელს მოუტანდა, ვერ იქნა და ვერ აიღეს...

ბოლოს და ბოლოს მოსახდენი მაინც მოხდა. ჩინელებმა მოიგეს მეთხუთმეტე ქულა და მასთან ერთად ჩემპიონატიც. ბრინჯაოს მედლებს პერუს ფრენბურთელები დაეუფლნენ, რომლებმაც გადამწყვეტ ბრძოლაში გდრ-ის სპორტსმენები დაამარცხეს — 3:1.

საბჭოთა კავშირის ნაკრები — მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ამჯერად სუსტად გამოვიდა: წააგო მატჩი V ადგილისთვის ბრაზილიასთან (0:3) და საბოლოოდ VI ადგილს დასჯერდა.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მართვე" — 93-97-27, „შერანი" — 93-97-26.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდ…ნოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

**1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე. 076…**